სენაკი

ინვესტირება ხელსაყრელ მდებარეობაში



სენაკის მუნიციპალიტეტის

საინვესტიციო პროფილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

With funding from

Austrian Development Cooperation

UNDP

საინვესტიციო პროფილი მომზადებულია პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარება“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ფაზა 2 (FRLD 2)” ფარგლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ხელშეწყობით.

წინამდებარე გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა

ჩვენი საქმიანობის უმთავრესი გამოწვევა, სენაკის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური წინსვლა და ამ კუთხით, მნიშვნელოვანი კონკრეტული პროექტების განხორციელებაა. ჩვენს მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ყველა პროექტი ჩვენი მოქალაქეების საჭიროებებზე, მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფაზეა გათვლილი და მორგებული. საინვესტიციო შესაძლებლობების ზრდა მუნიციპალიტეტში შემუშავებული ეკონომიკური განვითარების დოკუმენტების სამოქმედო გეგმის მიხედვით თანმიმდევრულად ხორციელდება.

მუნიციპალიტეტში არსებული დიდი პოტენციალის მქონე ტურისტული, კულტურულ-ისტორიული ობიექტები და ძეგლები, ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე, საინვესტიციო კუთხით მიმზიდველი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა, ტრადიციული და ახლად განვითარებული მიმართულებები სოფლის მეურნეობაში, რეალურად გვაძლევს დიდი ეკონომიკური ძვრების განხორციელების საფუძველს.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია ინვესტიციების მოზიდვა, ტურისტული პოტენციალის გაზრდა, აგრარული სექტორის განვითარება, ახალი შესაძლებლობების წარმოჩენა ადგილობრივ მაცხოვრებელთა მნიშვნელოვანი იდეებისა და პროექტების ხორცშესხმისთვის.

ჩვენ მზად ვართ მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ სასარგებლო ინიციატივებს, რაც მუნიციპალიტეტში ინვესტიციების ზრდას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას უზრუნველყოფს.

ლევან კუპრეიშვილი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

ინვესტიციების განხორციელების 7 ძირითადი გარემოება

რატომ სენაკის მუნიციპალიტეტი

1 ხელსაყრელი მდებარეობა – საერთაშორისო მნიშვნელობის გზა და სარკინიგზო კვანძი;

2 სამკურნალო–დასასვენებელი ფუნქცია (კურორტი მენჯი; ნოქალაქევი)

3 სამშენებლო ინდუსტრიისთვის საჭირო მნიშვნელოვანი წიაღისეული

4 მრავალფეროვანი წყლის რესურსი (თერმული; მტკნარი; ბალნეოლოგიური)

5 მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის წარმოების პოტენციალი

6 ტურიზმის მრავალფეროვანი მიმართულებების განვითარების პირობები (მათ შორის ეკო-ტურიზმი და ისტორიული ტურიზმი)

7 კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიმრავლე



მუნიციპალიტეტის ზოგადი მახასიათებლები

მოსახლეობის რაოდენობა **48 854**

ქალი - **55,7 %**
კაცი - **44,3 %**

შინამეურნეობა - **17 873**

საქალაქო დასახლება - **55,7%**
სასოფლო დასახლება **- 44,3 %**

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი (15+ მოსახლეობაში) - 62 %

მუნიციპალიტეტის რუკა

ფართობი - **520,7** კვ.კმ

გეოგრაფია და კლიმატი

- 16 მეტრი ზღვის დონიდან (საშუალო სიმაღლე)
- მოიცავს კოლხეთის დაბლობსა და მთისწინეთს
- სამეგრელოს რეგიონში ცენტრალური მდებარეობა
- მთისწინეთის გორაკ-ბორცვიანი ტერიტორია დაფარულია ტყეებით
- ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავა
- რბილი, თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული
- საშუალო წლიური ტემპერატურა 13,8 გრადუსი
- იანვრის საშუალო წლიური ტემპერატურა 4,9 გრადუსი; აგვისტო 23 გრადუსი
- ნალექი - 1620 მმ წელიწადში

ისტორია და მდიდარი ტრადიციები

სენაკის ტერიტორია უძველესი პერიოდიდან არის დასახლებული

სენაკი დასახელებულია შუასაუკუნეების რამდენიმე საისტორიო წყაროში

ნოქალაქევი მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში და წარმოადგენს ისტორიულ ციხე–ქალაქს დასავლეთ საქართველოში (ძვ.წ III საუკუნის დასაწყისი)

სოფელი ძველი სენაკი ერთ–ერთი უძველესი დასახლებაა საქართველოში

1921 წელს სენაკს ეწოდა ქალაქი

1930 წლიდან ცალკე რაიონად ჩამოყალიბდა

ადმინისტრაციულ ცენტრს ქალაქის სტატუსი მიენიჭა 2018 წელს

1959 წლიდან ფუნქციონირებს დრამატული თეატრი, რომლის შენობაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია

ადგილმდებარეობა და ბაზარზე წვდომა

ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 მაგისტრალი

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - 42 კმ;

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი - 114 კმ;

ფოთის პორტი - 35 კმ;
ბათუმის პორტი - 108 კმ;

სენაკის რკინიგზის სადგური ქალაქის ცენტრში: შესაძლებელია როგორც სამგზავრო გადაყვანა, ასევე ტვირთის გადაზიდვა

მანძილი რეგიონების ცენტრებამდე:
ქ. თბილისი - 270 კმ;
ქ. ქუთაისი - 70 კმ;
ზუგდიდი - 45 კმ.

ადგილმდებარეობის უპირატესობები

საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალებთან და სატრანსპორტო კვანძებთან მდებარეობა

ფოთის და ქუთაისი თავისუფალ ინდუსტრიულ ზონასთან სიახლოვე.

სარკინიგზო მაგისტრალთან მჭიდრო კავშირი

საჰაერო სატვირთო გადაზიდვებისთვის აეროპორტის მშენებლობის შესაძლებლობა.

აფხაზეთი
ცხინვალის რეგიონი
საქართველო
ფსხუ
გაგრა
ბიჭვინთა
გუდაუთა
ახალი ათონი
სოხუმი
გულრიფში
ოჩამჩირე
ლიკა
ომარიშარა
მესტია
ოთაფი
ხაიში
ტყვარჩელი
ჯვარი
ლენტეხი
გალი
წალენჯიხა
ხვანჭკარა
ფოთი
ზუგდიდი
ხობი
ენგური
ტყიბული
ქუთაისი
ჭიათურა
სენაკი
სამტრედია
ზესტაფონი
ფოთი
ოსაბლავი
ჩოხატაური
ბაღდათი
ოზურგეთი
ბახმარო
ქობულეთი
ბორჯომი
ხაშური
გორი
ბათუმი
ხულო
ახალციხე
ვალე
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ბაკურიანი
ახალციხე
ბოლნისი
კაზრეთი
მარნეული
თბილისი
რუსთავი
ბოლნისი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიან

ინფრასტრუქტურა

სრული ელექტროფიკაცია

ქალაქში გამართული კომუნიკაციები
და სათანადო ინფრასტრუქტურაზე წვდომა

გაზიფიცირებული ქალაქი და 8
ადმინისტრაციული ერთეული;

გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა;

ქალაქის და სოფლების ცენტრალურ უბნებში
უზრუნველყოფილია გარე-განათება;

გაუმჯობესებულია სასმელი წყლით
მომარაგება სოფლებში.

ქალაქის ტერიტორია დაფარულია
ინტერნეტით

განათლება

27 საბავშვო ბაღით უზრუნველყოფილია
სკოლამდელი აღზრდის პროცესი

ფუნქციონირებს 26 სკოლა;

ფუნქციონირებს მოსწავლე
ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრი;

ჯანდაცვა

6 სამედიცინო დაწესებულება;

17 ამბულატორია

გარემოს დაცვა

მდიდარი წყალუხვი მდინარეებით

ტყეებით დაფარულია ტერიტორიის **25%**

ფაუნა მრავალფეროვანია

კოლხეთის ეროვნული პარკის ნაწილი
განთავსებულია სენაკის ტერიტორიაზე

პრიორიტეტულია ნარჩენების
მართვის სისტემის გაუმჯობესება.

ეკონომიკის ძირითადი დარგები

ლოჯისტიკა და ტრანსპორტი

- ✓ სატრანსპორტო ღერძი
- ✓ ახლო კავშირი ფოთის პორტთან და ინდუსტიულ ზონასთან
- ✓ სარკინიგზო გადაზიდვები

მრეწველობა

- ✓ გადამამუშავებელი მრეწველობა (თხილი; დათნა)
- ✓ კარგი პოტენციალი ხილის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობისთვის

სოფლის მეურნეობა:

- ✓ მეთხილეობა
- ✓ სიმინდის კულტურა
- ✓ მეცხოველეობა - მეფრინველეობა
- ✓ მეფუტკრეობა
- ✓ კენკროვანი კულტურები

ეკოლოგიურად სუფთა, განსაკუთრებული გემოვნური თვისებების სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პირობები;

მიწის აქტივი და გამოყენების პოტენციალი

მუნიციპალიტეტის ფართობის (52 ათასი ჰა) 8 % კოლხეთის ეროვნულ პარკს უკავია

ტყის ფართობი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 25 %-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტში მოედინება მდინარეები: ტეხური; ცივი; ზანა; გურძემი

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისთვის ეკოლოგიურად სუფთა გარემო

მიწის რესურსის ძირითადი ნაწილის მესაკუთრე სახელმწიფოა

მიწის აქტივი დანიშნულების მიხედვით



სასოფლო სამეურნეო სავარგულები



არსებული წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები

- სააგურე თიხა
- თერმული წყლები
- სამშენებლო ქვიშა-ხრეში
- საკირე კირქვები

3 კირქვის მოპოვების ლიცენზიანტი

19 ქვიშა-ხრეში მოპოვების ლიცენზიანტი

16 მტკნარი წლის მოპოვების ლიცენზიანტი

ძირითადად გვხვდება მუხის, წიფელის, განსაკუთრებით - თხმელის ტყეები

სენაკში არსებული ბიზნეს სუბიექტები

აქტიური ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა შეადგენს 1921-ს. აქედან 1561 ინდივიდუალური მეწარმეა

2015-2019 წლებში 29,4 პროცენტით გაიზარდა ბრუნვის მაჩვენებელი

ძირითადი საქმიანობის სფერო:სოფლის მეურნეობა; საბითუმო და საცალო ვაჭრობა;

მზარდია თხილის და მოცვის მოსავალი

ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულის საშუალო თვიური ხელფასი შეადგენს 426ლარს (დაახლოებით 130 დოლარი)

ფუნქციონირებს 14 საწარმო და 11 კოოპერატივი

სენაკის ტურისტული პოტენციალი

ისტორიულ –კულტურული ტურიზმი

25 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი

3 ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი

ნოქალაქევის-ნაქალაქარი; ციხე-გოჯი

აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

სამკურნალო ტურიზმი

თერმული წყლების სიმრავლე - ნოქალაქევი

ბალნეოლოგიური კურორტი მენჯი - გოგირდ წყალბადის და ქლორ-ნატრიუმიანი მინერალური წყალი

ეკოტურიზმი

კოლხეთის ეროვნული პარკი;

მრავალფეროვანი მდინარეები - სამდინარო-სანაოსნო დანიშნულებით

კასტრული მღვიმეები

კულტურული და ბუნებრივი ძეგლების სიმრავლე

აგროტურიზმი

ნატურალური სოფლის მეურნეობის პროდუქცია

მეგრული სამზარეულო

მიმდინარე და დაგეგმილი მსხვილი პროექტები

- კურორტ მენჯის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა
- ქალაქ სენაკში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
- კოლხეთის ეროვნული პარკის ნაწილში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა
- ცენტრალური წყლის სისტემის და სანიაღვრე არხების გაუმჯობესება
- ურბანული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ბიზნესის ხელშემწყობი გარემო

- საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ჩარჩო;
- ლიცენზიებისა და ნებართვების მიღების მარტივი პროცედურები;
- ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის მოხერხებული პირობები;
- სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებასთან დაკავშირებული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიღების შესაძლებლობა;
- თანამშრომლების დასაქმების მოქნილი პირობები.

დაბალი დანახარჯები ბიზნესისთვის

- ადვილად ადმინისტრირებადი საგადასახადო სისტემა და დავების მოგვარების მოქნილი სტრუქტურა;
- ბიზნესის დაწყების სიმარტივე;
- თავისუფალ ინდისტრიულ ზონებთან სიახლოვე და ლოგისტიკის დაბალი დანახარჯები;
- უძრავი ქონების ხელსაყრელი ფასები.
- ბუნებისგან შექმნილი ეკოლოგიურად სუფთა გარემო, რაც ორგანული პროდუქტების წარმოების და დანახარჯების შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

დაბალი, სამართლიანი და ხელსაყრელი გადასახადები

- რეინვესტირებაზე ორიენტირებული მოგების გადასახადი - 0% ან 15%;
- საშემოსავლო გადასახადი - 20%;
- დამატებული ღირებულების გადასახადი -18%;
- ქონების გადასახადი - 1%;
- იმპორტის გადასახადი - 0%, 5% ან 12% ;
  დივიდენდი - 5%.

- საპენსიო შენატანი - 6% (2% დამსაქმებელი, 2% დასაქმებული, 2% სახელმწიფო)
- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებები 55 ქვეყანასთან.

მოსაკრებელი/გადასახადი	ოდენობა
ელექტროენერგია	0,3196 ლარი/კვტ
წყალმომარაგება	4,3 ლარი/ტონა
ბუნებრივი აირი	1,29 ლარი/კბ.მ
ქონების გადასახადი	არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთი 1 კვ.მ-ზე 0,24 ლარი
მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული მოსაკრებელი	1კვ.მ - 2 ლარი (ქალაქი სენაკი) 1კვ.მ - 1 ლარი (სოფლად) 1კვ.მ - 5 ლარი (საკურორტო ზონა)

სახელმწიფო სერვისები ბიზნესისთვის

ინფორმაციის გაცემისა და კონსულტაციის გაწევისთვის მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივი მზაობა

ადგილზე ხელმისაწვდომი სერვისები ბიზნესისთვის:

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური - შესაძლებელია ინფორმაციის მიღება სამინისტროს მიერ დაგეგმილი პროგრამების შესახებ

სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის სამსახური;

საქართველოს ეროვნული არქივის წარმომადგენლობა

იუსტიციის სახლი

საჯარო რეესტრის ეროვნული სერვისები

შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლობა

სოციალური მომსახურების სააგენტო

ბიზნეს მხარდამჭერი სახელმწიფო შესაძლებლობები

სახელმწიფო ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციებსა და ექსპორტს

აწარმოე საქართველოში

ინდუსტრიული მიმართულება;
სასტუმრო ინდუსტრია;
მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა;
გადაიღე საქართველოში;
საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი;
ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია;
ტურისტული სერვისების ინდუსტრია;

საპარტნიორო ფონდი

მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და ხელშეწყობაზე;
კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა ეკონომიკის
პრიორიტეტულ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება და ტურიზმი

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

შეღავათიანი აგრო კრედიტი და აგრო დაზღვევა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსება;
გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების ხელშეწყობა;
ბაღებისა და სანერგე მეურნეობების მოწყობის მხარდაჭერა და სხვა სასოფლო სამეურნეო საქმიანობის გააქტიურების სტიმულები.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

ინოვაციების შექმნის მხარდაჭერა ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის;
ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები;
ფაბლაბები - მაღალტექნოლოგიურიდანადგარებით აღჭურვილი სახელოსნო, რომელიც გთავაზობთ ციფრულფაბრიკაციას.
ბიზნეს ინკუბატორი, IT ტრენინგები, ინოვაციური ბანაკი, სტარტაპ საქართველო
და სხვა წარმატებული პროექტები.

საქართველოში ინვესტირების უპირატესობები

- ქვეყანა, სადაც ევროპა ხვდება აზიას;
- წვდომა 2,3 მილიარდიან ბაზარზე საბაჟო გადასახადების გარეშე;
- ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და DCFTA;
- მე-7 ადგილი ბიზნესის კეთების რეიტინგში - პირველი ევროპის ქვეყნებიდან;
- მე-6 ადგილი უსაფრთხო ქვეყნების სიაში;
- სამუშაო ძალისა და კომუნიკაციების დაბალი დანახარჯები;
- მარტივი და დაბალი საგადასახადო ტვირთი სახელმწიფო შეღავათებითა და ბიზნესის წახალისების ინსტრუმენტებით;
- ქონების გადასახადი - არ აღემატება 1%-ს;
- ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ხელმოწერილია 33 ქვეყანასთან, ქვეყანა 1992 წლიდან წევრია ICSID შეთანხმების.
- ჩინეთთან სარკინიგზო კავშირის განვითარება



ქალაქ სენაკში 2922 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწა შენობით
საკადასტრო კოდი: 44.01.31.395

მდებარეობა

ქალაქი სენაკი; ქალაქის ცენტრი შესაბამისი კომუნიკაციებით

მერიის შენობა, რომელიც ინვესტორის მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელია გასხვისდეს და მერია განთავსდეს ალტერნატიულ შენობაში

მესაკუთრე

მუნიციპალიტეტი

განვითარების პოტენციური დანიშნულება

სასტუმროს ფუნქცია

სოფელ ნოქალაქევში 3412 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწა
საკადასტრო კოდი: 44.06.22.356

მდებარეობა

სოფელი ნოქალაქევი; გზასთან და მდინარესთან ახლოს.

ხელმისაწვდომია საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალი

მესაკუთრე

სახელმწიფო

განვითარების პოტენციური დანიშნულება

ტურისტული ფუნქცია

სოფელ კოტიანეთში 17567 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწა
საკადასტრო კოდი: 44.04.23.170

მდებარეობა

სოფელი კოტიანეთი; გზასთან ახლოს.

ხელმისაწვდომია საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალი

მესაკუთრე

სახელმწიფო

განვითარების პოტენციური დანიშნულება

სამრეწველო ფუნქცია

სოფელ ძველ სენაკში 66880 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწა
საკადასტრო კოდი: 44.04.28.420

მდებარეობა

სოფელი ძველი სენაკი; გზასთან ახლოს.

ხელმისაწვდომია საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალი

მესაკუთრე

სახელმწიფო

განვითარების პოტენციური დანიშნულება

სამრეწველო ფუნქცია

სოფელ ხორშში 36120 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწა

მდებარეობა

სოფელი ხორში; გზასთან ახლოს

ხელმისაწვდომია საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალი

მესაკუთრე

სახელმწიფო

განვითარების პოტენციური დანიშნულება

სამრეწველო ფუნქცია.

სოფელ მენჯში 180524 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწა შენობით



მდებარეობა

სოფელი მენჯი; გზასთან ახლოს დასახლებულ პუნქტში.

ხელმისაწვდომია საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალი და ელექტროენერგია

მესაკუთრე

სახელმწიფო საკუთრება

განვითარების პოტენციური დანიშნულება

ტურისტული ფუნქცია.

სოფელ თეკლათში 123322 კვ.მ სასოფლო სამეურნეო მიწა

მდებარეობა

სოფელი თეკლათი; გზასთან ახლოს

ხელმისაწვდომია საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალი

მესაკუთრე

სახელმწიფო საკუთრება

განვითარების პოტენციური დანიშნულება

სასოფლო–სამეურნეო ფუნქცია.

სოფელ ნოსირში 263265 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწა
საკადასტრო კოდი: 44.02.23.242

მდებარეობა

სოფელი ნოსირი; გზასთან ახლოს

ხელმისაწვდომია საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალი

მესაკუთრე

სახელმწიფო საკუთრება

განვითარების პოტენციური დანიშნულება

სამეწარმეო ფუნქცია.

სოფელ ძველ სენაკში 243528 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწა შენობით
საკადასტრო კოდი: 44.04.29.311

მდებარეობა

სოფელი ძველი სენაკი; გზასთან ახლოს

ხელმისაწვდომია საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალი

მესაკუთრე

სახელმწიფო საკუთრება

განვითარების პოტენციური დანიშნულება

სამეწარმეო ფუნქცია.

დამატებითი ინფორმაცია:

საინვესტიციო გარემო და შესაძლებლობები საქართველოში (2019):
http://www .enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publicacationsadb10264501-1-PRIN -Master-2019-small.pdf

სასარგებლო ბმულები

InvestIn Georgia	investingeorgia.org
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	www.economy.ge
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	www.mof.ge
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	www.mepa.gov.ge
საქართველოს რეგიონგნული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრი	www.mrdi.gov.ge
საპარტნიორო ფონდი	www.fund.ge

საინფორმაციო წყაროები
სენაკის მუნიციპალიტეტის კონტაქტი:
www.senaki.gov.ge
ქ. სენაკი
მის: ჭავჭავაძის ქუჩა N103
0 (413) 27 70 31
senakismeria@gmail.com